

**„ბუნებრივი გაზის გამანაწილებელ ქსელზე ერთი ახალი მომხმარებლის მიერთების მოთხოვნის  
შესახებ“ განაცხადი**

**განმცხადებლის საყურადღებოდ!**

განაწილების ლიცენზიანტი ვალდებულია, დაუყოვნებლივ დაარეგისტროს განმცხადებლის მიერ წარდგენილი ნებისმიერი სახის წერილობითი განცხადება (განაცხადი) და დაუყოვნებლივ გასცეს განაცხადის რეგისტრაციის ნომერი, რეგისტრაციის თარიღის მითითებით, ასევე რეგისტრაციისთანავე განმცხადებელს გაუგზავნოს წესებით განსაზღვრული ინფორმაცია ტექსტური შეტყობინებით.

განმცხადებელი არ არის ვალდებული, მიაწოდოს განაწილების ლიცენზიანტს რაიმე დამატებითი ინფორმაცია ან დოკუმენტი გარდა იმისა, რაც გათვალისწინებულია კომისიის მიერ დამტკიცებული განაცხადის ფორმით.

ახალი მომხმარებლის გამანაწილებელ ქსელზე მიერთების პროცესი არ არის დამოკიდებული მომხმარებლის შიდა ქსელის მოწყობის პირობასთან ან ამ პირობის შეცვლასთან. განაწილების ლიცენზიანტი ვალდებულია ახალი მომხმარებლის ქსელზე მიერთება განახორციელოს შეუფერხებლად, მიუხედავად იმისა, მომხმარებელი დამატებით მოითხოვს თუ არა შიდა ქსელის მოწყობას ან უარს იტყვის მის მოწყობაზე (მათ შორის, მოხმარების ერთი ან მეტი წერტილის მოწყობაზე), ან ხელს უშლის შიდა ქსელის სამუშაოების შესრულებას რაიმე ფორმით.

მიერთების მსურველი ვალდებულია წარადგინოს შიდა ქსელის გაზომომარაგებისთვის მზადყოფნის დოკუმენტი. მიერთების დასრულებამდე აღნიშნული დოკუმენტის წარმოდგენლობის შემთხვევაში გაზომომარაგება არ დაიწყება.

განაცხადთან დაკავშირებული ინფორმაციის შეტყობინება ხდება ელექტრონული ფორმით, მომხმარებლის მიერ განაცხადში მითითებულ ძირითად და ალტერნატიულ ნომრებზე ან/და ელექტრონულ მისამართზე.

განაწილების ლიცენზიანტის მიერ მიერთების სამუშაოების დასრულებისას მომხმარებელს ეგზავნება შეტყობინება. მიერთების სამუშაოების განსაზღვრულ ვადაში შეუსრულებლობის შემთხვევაში, ყოველ ვადაგადაცილებულ პერიოდზე, მომხმარებელს უნდა დაერიცხოს კომპენსაცია კომისიის მიერ დადგენილი საფასურის 50 პროცენტის ოდენობით.

თუ განაცხადის ჩაბარებიდან ერთი საათის განმავლობაში განმცხადებელი არ მიიღებს მოკლე ტექსტურ შეტყობინებას წესებით განსაზღვრული ინფორმაციის მითითებით, განმცხადებელი უფლებამოსილია, მიმართოს მომსახურე საწარმოს საჩივრებზე რეაგირების სამსახურს, ასევე მარეგულირებელ კომისიას მისამართზე: ქ. თბილისი, ა. მიცკევიჩის ქ. #19; ვებ გვერდი: [www.gnerc.org](http://www.gnerc.org); ელ. ფოსტა: [mail@gnerc.org](mailto:mail@gnerc.org); ტელ: 2420180; ქოლცენტრის ნომერი: 16216.

განაცხადის შევსების თარიღი „\_\_\_\_\_“ „\_\_\_\_\_“ 20\_\_\_წ.

განაცხადების ადრესატი: \_\_\_\_\_;

(იმ განაწილების ლიცენზიანტის დასახელება, რომლის ქსელზეც ხდება მიერთება)

**I. პირადი და მაიდენტიფიცირებელი მონაცემები:**

1. განმცხადებელი: \_\_\_\_\_;  
(სახელი და გვარი, ან იურიდიული პირის შემთხვევაში - სახელწოდება)

2. პირადი ნომერი/საიდენტიფიკაციო კოდი: \_\_\_\_\_;

3. განმცხადებლის საკონტაქტო ინფორმაცია:

3.1. მისამართი: \_\_\_\_\_;

3.2. განმცხადებლისთვის შეტყობინება უნდა გაიგზავნოს ქვემოთ მოცემულ ერთ ძირითად და ერთ ალტერნატიულ ნომერზე<sup>1</sup> ან ელექტრონულ მისამართზე<sup>2</sup>:

\_\_\_\_\_ - ძირითადი;  
(მობ. ოპერატორი კოდი) (მობ. ნომერი)

\_\_\_\_\_ - ალტერნატიული;  
(მობ. ოპერატორი კოდი) (მობ. ნომერი)

3.3. ელექტრონული ფოსტის მისამართი (სურვილის შემთხვევაში)

<sup>1</sup> აღნიშნული ნომრიდან \*303# აკრეფით მომხმარებელს შეუძლია მობილური სერვისებით ინტერაქციულად სარგებლობა (ელ. ქვითარი, წყვეტები და სხვა).

<sup>2</sup> მითითებული ელ. ფოსტა გამოყენებული იქნება კომისიის „მომხმარებლის პორტალზე“ როგორც მომხმარებლის სახელი და საკონტაქტო ელ. მისამართი.

4. მიერთების მსურველის (განმცხადებლის) საბანკო რეკვიზიტები: \_\_\_\_\_;

## II. ძირითადი ინფორმაცია

5. მისაერთებელი ობიექტის (საცხოვრებელი ადგილის, საწარმოს, ან სხვა ობიექტის) რეკვიზიტები, სადაც უნდა მოხდეს გამანაწილებელ ქსელზე მიერთება და გაზომვარაგება:

5.1. მისაერთებელი ობიექტი მდებარეობს თვითმმართველ ქალაქში:  დიახ ან  არა.

5.2. მისაერთებელი ობიექტის მისამართი: \_\_\_\_\_;

5.3. უძრავი ქონების საკადასტრო კოდი<sup>3</sup> \_\_\_\_\_;

5.4. მოხმარებული ბუნებრივი გაზის საფასურის გადახდაზე პასუხისმგებელი პირი (აბონენტი): \_\_\_\_\_;

(სახელი, გვარი, პირადი ნომერი; იურიდიული პირის შემთხვევაში - სახელწოდება და საიდენტიფიკაციო კოდი)

5.5. ბუნებრივი გაზის მოხმარების მიზანი:  საყოფაცხოვრებო ან  არასაყოფაცხოვრებო;

5.6. გამანაწილებელ ქსელზე მისაერთებელი პიკური სიმძლავრე (მოხმარების დასაშვები სიმძლავრე) \_\_\_\_\_ მ<sup>3</sup>/სთ.

6. გამანაწილებელი ქსელის დაბალი წნევის საფეხურზე მისაერთებელი სიმძლავრე: \_\_\_\_\_ ;

7. გამანაწილებელ ქსელზე მიერთების საფასური<sup>4</sup> (ციფრებში) : \_\_\_\_\_ ;

8. ივსება საყოფაცხოვრებო მომხმარებლის შემთხვევაში (0-6 მ<sup>3</sup>/სთ შეთავაზებული პაკეტის მონიშვნის შემთხვევაში):

8.1. გამანაწილებელ ქსელზე მიერთების საფასურის გადახდის პირობა:  ერთდროულად ან  17 თვეზე განწილვადებით;

8.2. მომხმარებლის შიდა ქსელის სტანდარტული პირობით ერთი წერტილის მოწყობა და ერთი ხელსაწყო დაერთება (განაწილების ლიცენზიატის მიერ ერთი წერტილის მოწყობისა და ერთი ხელსაწყო დაერთების ვალდებულება შედის ახალი მომხმარებლის მიერთების მომსახურებაში. ამ მომსახურებაზე არ ხდება დამატებით თანხის გადახდა და ამ მოთხოვნის ცვლილება ან უარი არ აჩერებს ახალი მომხმარებლის მიერთების პროცესს):  დიახ ან  არა;

## III. სპეციალური მოთხოვნა

9. 0-6 კუბ.მ/სთ სიმძლავრით მიერთების შემთხვევაში, გსურთ თუ არა ჭკვიანი მრიცხველის მოწყობა:

არა; ან  დიახ,<sup>5</sup>

დადებითი პასუხის შემთხვევაში, ასევე შეავსეთ ჭკვიანი მრიცხველის საფასური (ციფრებში): \_\_\_\_\_ ;

## IV. ძირითადი მოთხოვნა:

10. გთხოვთ, წინამდებარე განცხადებაში მოცემული ინფორმაციის გათვალისწინებით, კომისიის 2009 წლის 9 ივლისის N12 დადგენილებით დამტკიცებული „ბუნებრივი გაზის მიწოდებისა და მოხმარების წესებით“ (შემდგომში - წესები) დადგენილ ვადაში მომიწყობთ აღრიცხვის კვანძი, დამარეგისტრიროთ აბონენტად და დაიწყოთ გაზომვარაგება ზემოაღნიშნულ მისამართზე.

11. ამ განაცხადის ხელმოწერით ვადასტურებ განაცხადში მოცემული ინფორმაციის სისწორეს და მასში ასახული პირობების შესრულების შემთხვევაში, შევასრულებ წესებით და „მომსახურების ხარისხის წესებით“ განსაზღვრულ ვალდებულებებს, მათ შორის დროულად გადავიხდი ჩემ მიერ მოთხოვნილ მომსახურებაზე დადგენილ საფასურს.

<sup>3</sup> საყოფაცხოვრებო მომხმარებლის შემთხვევაში, უძრავი ქონების საკადასტრო კოდის ნაცვლად, განაცხადზე შესაძლებელია, თანდართული იქნეს ნებისმიერი დოკუმენტი, რომელიც წარმოადგენს საკუთრების უფლების რეგისტრაციის საფუძველს.

<sup>4</sup> განწილვადების შემთხვევაში, მიერთების საფასური განსაზღვრება არსებულ მიერთების საფასურზე თვითმმართველ ქალაქებში 50 ლარის (დღგ-ის ჩათვლით) დამატებით, ხოლო სხვა მუნიციპალიტეტში 25 ლარის (დღგ-ის ჩათვლით) დამატებით.

<sup>5</sup> გთხოვთ გაითვალისწინოთ, რომ 0-6 კუბ.მ/სთ ჭკვიანი მრიცხველის მოწყობის მოთხოვნა და მისი საფასური არ არის კავშირში ობიექტის გამანაწილებელ ქსელზე მიერთების პროცედურასთან - წარმოადგენს სპეციალურ მოთხოვნას.

**V. დამატებითი ინფორმაცია:**

12. გესაჭიროებათ საგადასახადო ანგარიშ-ფაქტურა:  დიახ; ან  არა.
13. გსურთ თუ არა ბუნებრივი გაზის მიწოდება განაწილების ლიცენზიატისგან:  დიახ ან  არა;
14. განაცხადში მოცემული ჩემი პირადი ნომერი, ტელეფონის ნომერი და ელ. ფოსტის მისამართი:  
ა) გამოყენებულ იქნეს გაზმომარაგებასთან დაკავშირებული ინფორმაციის შეტყობინების მიზნით:  დიახ, ან  არა;  
ბ) მიეწოდოს ელექტროენერჯისა და წყალმომარაგების სექტორში მომსახურე საწარმოებს, სადაც, განაცხადში მოცემულ მისამართზე, რეგისტრირებული ვარ მომხმარებლად და გამაჩნია აბონენტის ნომერი:  არა ან  დიახ:  
1) \_\_\_\_\_; 2) \_\_\_\_\_ .

**VI. თანდართული დოკუმენტაცია:**

15. მიერთების საფასურის გადახდის დამადასტურებელი საბუთი ; ასევე, გადახდილია საფასურის 50%  ან 100% ; ხოლო საფასურის განწილვადებით გადახდის შემთხვევაში , პირველი გადასახადის ოდენობა სიტყვიერად: \_\_\_\_\_;
16. ჭკვიანი მრიცხველის მოთხოვნის შემთხვევაში, საფასურის გადახდის დამადასტურებელი საბუთი ; ასევე, გადახდილია საფასურის 50%  ან 100% .
17. განაცხადზე თანდართულია საცხოვრებელი ბინის, საწარმოს ან ობიექტის მესაკუთრის წერილობითი თანხმობა (ივსება მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ უძრავი ქონების მესაკუთრე და განმცხადებელი სხვადასხვა პირია) ;
18. თანდართულია მისაერთებელი ობიექტის შიდა ქსელის გაზმომარაგების მზადყოფნის დამადასტურებელი დოკუმენტი:  
 დიახ ან  არა. **გაფრთხილება:** მიერთების დასრულებამდე აღნიშნული დოკუმენტის განაწილების ლიცენზიატისთვის წარუდგენლობის შემთხვევაში გაზმომარაგება არ დაიწყება.
19. სხვა თანდართული დოკუმენტაცია (სურვილის შემთხვევაში): \_\_\_\_\_ .

განმცხადებლის ხელმოწერა \_\_\_\_\_